

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N5

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

26.03.2019წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე -*გიორგი ივანიაძე*.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი: –გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, კობა მაგნიძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარბეიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, რამაზ არველაძე, გელა ვარდოსანიძე, თამთა დვალიშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, მალხაზ ცერცვაძე, რობიზონ ფუტყარაძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი.(დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - *ლუბა გოგოძე*.

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის უფროსი -*ივანე მამფორია*.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი -*მამუკა ნამიჭეიშვილი*.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-*ნარგიზი ალფაიძე*.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ივანიაძე საკრებულოს რიგგარეშე ღია სხდომას 13⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.: ივანე მამფორია

2. „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 თებერვლის N 10 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხს.: გელა ჩიკვაძე

3. „ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში განხორციელებული ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 დეკემბრის N27 69 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხს.: მამუკა ნამიჭეიშვილი

4. „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საფეხბურთო კლუბ „სულორი-ვანი“-ს (ს/კ 229660168) წესდების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 12 იანვრის N 20 17 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე ;

მომხს.: ნარგიზი ალფაიძე

5. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“ (ს/კ 429651717) წესდების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 9 მარტის N 20 352 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე ;

6.სხვადასხვა.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განაპირობა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ასევე საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის დამატების მიღებულმა ტრანსფერმა. კერძოდ, მუნიციპალიტეტი გათავისუფლდა თანადაფინანსების ვალდებულებისაგან და ამ მიზნით რგპფ-ით გამოყოფილი თანხა 123,7 ათასი ლარით გაიზარდა, ასევე 230,0ათასი ლარით გაიზარდა სკოლების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი. ცვლილებები შეეხო სხვადასხვა საბიუჯეტო პროგრამებს და წარმოადგინა ეს პროგრამები.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 23

წინააღმდეგი –3 (გია ოჩხიკიძე, კობა ძაგნიძე, აპოლონ რამიშვილი.)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(დანართი: დადგენილება N 12).

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 თებერვლის N 10 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიიღეს შენიშვნა „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან“ ამ დადგენილებასთან დაკავშირებით. კერძოდ, პრეამბულაში უნდა დაემატოს თუ რომელი კანონის რომელი მუხლით მიიღეს ეს დადგენილება: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ით, „სახელწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით და წარმოადგინა შესწორებული დადგენილების პროექტი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვეტის: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 თებერვლის N 10 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

(დანართი: დადგენილება N13)

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში განხორციელებული ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 დეკემბრის N27 69 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2019 წელში განსახორციელებელ პროექტებს დაემატა ვანის მუნიციპალიტეტში ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ზედა ეწერ-ტობანიერში ხევის (ე.წ.სატობეს ღელე) მეწყერული კერის რეგულირება. გეოლოგების დასკვნით ეს არის ზონა, საიდანაც საფრთხე ემუქრება მოსახლეობას და საჭიროა ამ ხევის გამაგრება. პროექტში კარგადაა ასახული ის სამუშაოები, რომლებიც უნდა გაკეთდეს ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვეტის: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში განხორციელებული ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 დეკემბრის N27 69 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

(დანართი: განკარგულება N 27 9)

მოისმინეს:

დღის წერიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საფეხბურთო კლუბ „სულორი-ვანი“-ს (ს/კ 229660168) წესდების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 12 იანვრის N 20 17 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის შედეგად შესაბამისად შევიდა ცვლილება წესდებაში. კერძოდ, საფეხბურთო კლუბის სტრუქტურული ერთეულებია: ქ. ვანის გრიგოლ ნიკოლეიშვილის სახელობის ცენტრალური სტადიონი, ქ. ვანის საფეხბურთო სკოლა.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვეტის: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საფეხბურთო კლუბ „სულორი-ვანი“-ს (ს/კ 229660168) წესდების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 12 იანვრის N 20 17 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე ;

მოისმინეს:

დღის წერიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“ (ს/კ 429651717) წესდების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 9 მარტის N 20 352 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

ამ საკითხთანაც დაკავშირებით მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება შევიდა სამსახურის წესდებაში. კერძოდ, გაერთიანების სტრუქტურული ერთეულებია: ქ. ვანის კომპლექსური სასპორტო სკოლა(საბრძოლო ხელოვნება, რაგბი, მძლეოსნობა, ჭიდაობა, ჭადრაკი, კალათბურთი.)

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“ (ს/კ 429651717) წესდების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 9 მარტის N 20 352 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

(განკარგულება N 27 11)

საკითხში „სხვადასხვა“ სიტყვა ითხოვა დეპუტატმა შალვა ლორთქიფანიძემ.

„ მოგესალმებით. ყველას მოგეხსენებათ, რომ „დიხაშხოს ჭალებზე“ ცენტრალურ გზასთან ახლოს არის თერმული წყალი, რომელიც მოედინება თვითდინებით და შექმნა აუზი. საოცარი სანახაობაა, რომელსაც ბევრი მნახველი ყავს არა მარტო საქართველოდან არამედ საზღვარგარეთიდანაც. მინდა გთხოვოთ მოიძებნოს ბიუჯეტში თანხა რათა კეთილმოეწყოს მიმდებარე ტერიტორია, დაიხრეშოს მისასვლელი გზა. დაიდაგს საპირფარეშო და გასახდელებიც.

დეპუტატი ეთერ ჭიჭინაძე.

მეც მოვინახულე ეს ადგილები და დავეთანხმები შალვას მოსაზრებას. მინდა ამ საკითხთან დაკავშირებით გავაკეთო ფრაქციის სხდომა და ფრაქციის სახელით მივმართო მუნიციპალიტეტის მერს ამ საკითხის მოსაგვარებლად.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხის ინიციატორებს მიმართა, რომ წარმოადგინონ აღნიშნული წინადადება წერილობითი სახით და იგი გადაეგზავნება მუნიციპალიტეტის მერს რეაგირებისათვის.

საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის თავმჯდომარე